ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 575

07 სექტემბერი 2011 წელი ქ. ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შეყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოადგილის დავით ანდღულაძის სახით (უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი–ქ.ქუთაისის მერის მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ანდღულაძის წერილი 06.09.2011წ. №01–6295; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ.რუსთაველის გამზ. №3, ტელ:4-64–48) (შემდგომში "შემსყიდველი")

მეორეს მხრივ არარეგისტრირებული ფ/პირის მიხეილ კეთილაძის სახით (მისამართი: ქ.ქუთაისი, ლენინაკანის ქ. №18) (შემდგომში „მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1.ქალაქ ქუთაისის მერიის ბალანსზე რიცხული შენობიდან (რუსთაველის გამზ.№ 1) ჩამოწერილი ავეჯის გადაზიდვის შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება 625 (ექვსასოცდახუთი) ლარი.

1.3. კლასიფიკატორის კოდი – 63112000

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

შესყიდვის ობიექტის განხორციელების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (ანგარიშ-ფაქტურა).

3. გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს მომსახურებას მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

4. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

4.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს :

ა) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მოცულობა და ღირებულება

ბ) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშ–ფაქტურა.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.4 ანგარიშსწორების ვადაა: დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

4.5 ანგარისწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1046 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

5.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან – 2011 წლის 30 სექტემბრამდე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 განხორციელებული მომსახურების დამტკიცებას ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 დაუძლეველი ძალის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.4 დაუძლეველი ძალის პირობებში.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის 30 სექტემბრამდე.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისი ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა 33033303
ს/კოდი: 212721170

მიმწოდებელი:

არარეგისტრირებული ფ/პ მ.კეთილაძე
მის: ქ.ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. №29/32
ს.ს . „ვითიბი ბანკი "
ქუთაისი ფილიალი
ბ/კოდი: 220101605
ა/ა GE73VT0500000029673601
ს/კ 60001003060

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ანდღულაძე

არარეგისტრირებული ფ/პ

მიხეილ კეთილაძე